



შირაკი

SHIRAKI

www.open.ge

გამოცემის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№24 (9.638)

5-12 ივლისი 2014 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

ფიროსმანის საფლავი კვლავ დაუდგენელია!



საფლავი. კუკის სასაფლაოზე, ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე აღმოჩენილია საფლავის ქვა, წარწერით — „შეინყაღე, უფალო, ნიკალაჲ!“, ხოლო მის ქვეშ გაფერმკრთალებული ერთი ასო „მ“-ც იკითხებოდა.

სამინისტროს ინფორმაციით, ჟურნალისტმა მათა რამიშვილმა საკუთარი რამდენიმე მეგობარი, კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი გურამ ოდიშარია, ფოლკლორისტი ეთერ თათარაიძე და ამირან არაბული, ისტორიკო-

გარკვეულ არგუმენტებს ეფუძნება. ჟურნალისტის მონათხრობით, ამ საფლავს დაახლოებით ერთი თვის წინ ნაანყდა კუკის სასაფლაოზე, მშობლების საფლავების შორიახლოს. მისი ვარაუდი რამდენიმე ძალიან თვალშისაცემ ფაქტს ეყრდნობა, — აცხადებდნენ კულტურის სამინისტროში.

მათა რამიშვილის მოსაზრებებს იზიარებდნენ ისტორიკოსი ზაზა აბაშიძე და საფლავის ქვების ცნობილი მკვლევარები ეთერ თათარაიძე და ამირან არაბული.

ვარაუდით კი, ეს ქვის სრული სიმაღლე არ უნდა იყოს. ქვის სიღრმეში, წარწერის ქვეშ აუცილებლად იქნება მითითებული გარდაცვალების თარიღი.

ქვა ამოიღეს და ახალი ინფორმაციით, საფლავი 3 წლის ბავშვს ეკუთვნის. ინფორმაციას ადასტურებს ფიროსმანის სახელმწიფო მუზეუმის მმართველი ანზორ მაძღარაშვილი. მისი თქმით, თავიდანვე საეჭვო იყო ის გარემოება, რომ თვითნასწავლი მხატვრის საფლავი ასე მოვლილი ყოფილიყო და მისთვის ქვა დაედგათ.

— „როგორც შევხედე, ეჭვები მაშინვე ღიად დავაფიქსირე, წარმოუდგენელია, ამდენად მოვლილი საფლავი ყოფილიყო. უკვე დადასტურდა, რომ 3 წლის ბიჭის საფლავია და მისი პატრონიც გამოჩნდა. მე კომისიის წევრიც ვარ და მალე შევიკრიბებით და სხდომას გავმართავთ,“ — განუცხადა „შირაქს“ ფიროსმანის მკვლევარმა ანზორ მაძღარაშვილმა.

ეს საფლავი ფიროსმანის რომ არ იქნებოდა, ამაში თავიდანვე დარწმუნებული იყო მუზეუმის ყოფილი მმართველი ნელი გობეჯიშვილიც. მისი თქმით, უპატრონო მიცვალებულის საფლავს ასე ვერაფერს მოუვლიდა. მით უფრო, რომ ფიროსმანის ოჯახის წევრების საფლავების ადგილსამყოფელიც უცნობია.

ანზორ მაძღარაშვილი მიიჩნევს, რომ საფლავის ირგვლივ

ამჯერად ატეხილ აუიოტაჟს უშედეგოდ არ ჩაუვლია. ფიროსმანის მკვლევარები წლების მანძილზე ამგვარი კომისიის შექმნას უშედეგოდ ითხოვდნენ. ამჯერად კი საკითხის გააქტიურებამ კომისიის შექმნა დააჩქარა.

როგორც ჟურნალისტმა მათა რამიშვილმა განაცხადა, კულტურის სამინისტროში მიიღეს განწყვეტილება, საფლავის ქვის ამოღების თაობაზე. საფლავის ქვის საპირისპირო მხარეს გამოჩნდა წარწერა — „შობიდან 3 წელი“, რაც ბავშვის საფლავის არსებობაზე მოუთხოვს. ამასთან, რამიშვილის თქმით, სასაფლაოს დირექციას დაუკავშირდა პირი, რომელიც ამბობს, რომ ის არის საფლავის მემკვიდრე და საფლავი ბავშვს ეკუთვნის.

რამიშვილის თქმით, შექმნილია კომისია, რომელშიც გაერო-თანდენ ფიროსმანის მკვლევარები და კულტურის სამინისტროს გადანწყვეტილებით, განხილული და შესწავლილი იქნება როგორც პეტრე-პავლეს, ასევე კუკის სასაფლაოსთან დაკავშირებული სარწმუნო ვერსიები.

დღემდე არსებულ ვერსიებს შორის, რომ თითქოს საფლავი პეტრე-პავლეს სასაფლაოზე ან თუნდაც — კუკიაზე, ოღონდ ეკლესიის მარჯვენა მხარეს, ყველაზე რეალური ეს უკანასკნელია.

ილია მარტყოფილი



რამდენიმე დღის წინ ქართულ მედიაში აუიოტაჟი ატყდა იმასთან დაკავშირებით, თითქოს ნიკო ფიროსმანის საფარადო საფლავი აღმოაჩინეს.

კულტურის სამინისტრომ გააყრცელა ინფორმაცია, რომ ნაპოვნი იყო ფიროსმანის საფარადო

სი ზაზა აბაშიძე, მწერალი კოტე ჯანდიერი და ხელოვნებათმცოდნე ევა კიკნაძე სწორედ იმ ადგილას მიიწვია, სადაც საფარადოდ, ნიკო ფიროსმანის საფლავი ეგულებოდა.

„მათა რამიშვილის მოსაზრება

ამასთან ერთად, ეთერ თათარაიძე იხსენებს ერთი ხანდაზმული ქალბატონის მონათხრობს, ბავშვობაში როგორ აღიოდა ხოლმე კუკის სასაფლაოზე, ეკლესიის ხელმარცხნივ მდებარე ნიკალას საფლავზე. ამირან არაბულის

ხალხი სასოწარკვეთილია, მოსაგალმა არ გაამართლა

„თავიდან ხორბლის მოსავალს კარგი პირი უჩანდა. მცენარე ამოვიდა, თუმცა, გვალვების გამო, ზრდაში ვეღარ წავიდა. ძალიან რთული მდგომარეობაა. ფაქტობრივად, მოსავლის 40-60% „მკვდარია“, — ამბობენ ფერმერები.

რამდენიმე წლის წინათ, გარემოს დაცვის სამინისტროსთან ერთად, დედოფლისწყაროს რაიონში გაუდაბნოების პროცესებს ვსწავლობდით. 3 ათას ჰექტრამდე ტერიტორია ნახევრად გაუდაბნოებულია, ნამოვიდა უდაბნოსთვის დამახასიათებელი მცენარეები. ხელისუფლებამ არ უნდა დაუშვას ის, რომ ისედაც მცირემიწიან ქვეყანაში ტერიტორიები უდაბნოდ გადაიქცეს.

ბუნებრივია, გამოსავალი არსებობს. სასწრაფოდ უნდა

მოხდეს სარწყავი სისტემების აღდგენა. თუ ეს ტერიტორია მოიწვევება, გაუდაბნოების პროცესიც შეჩერდება. კომუნისტურ პერიოდში ამ საკითხს დიდ ყურადღებას აქცევდნენ.

უკვე 20 წელია, ნიადაგის გაკეთილშობილება აღარ მომხდარა. პრობლემას კერძო პირები ვერ გადაწყვეტენ, ამ საკითხზე სახელმწიფომ უნდა იზრუნოს. ვიმეორებ, აუცილებელია გამლაშებული ნიადაგის გაკეთილშობილება, — ამბობს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი გოგოლა მარგველაშვილი.

კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის (CENN) მიერ განხორციელებული კვლევის თანახმად, კლიმატური ცვლილებების შედეგად დედოფლის-

ყაროში ოდესღაც ნაყოფიერი მიწა უდაბურდება, თუმცა ეს არ არის ერთადერთი მიზეზი, რის გამოც ადგილობრივი ფერმერების ნაწილმა მიწების დამუშავება შეწყვიტა.

კვლევის მიხედვით, 2020-50 წლებში ჰაერის საშუალო მრავალწლიური ტემპერატურა 2,5-3 გრადუსით მოიმატებს (ტემპერატურა უკვე გაზრდილია 0,6 გრადუსით), რის გამოც მოსალოდნელია სახნავ-სათესი მიწების, ბალ-ბოსტნების, ვენახებისა და საძოვრების პროდუქტიულობის საგრძნობლად შემცირება. მკვლევარების თქმით, გაუდაბნოების პროცესი გაძლიერდება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დიდ ნაწილზე. ვითარებას ისიც ამძიმებს, რომ რაიონში არ არსებობს სარწყავი

არხები. ასევე, გაჩეხილია ქარსაფარი ზოლები, რის გამოც ქარი ნიადაგის ზედა ფენას (სადაც მარცვალა) ადვილად ანადგურებს.

ადგილობრივები ამბობენ, რომ ქარსაფარი ზოლებისა და სარწყავი სისტემის აღდგენა, რაც პრობლემის მნიშვნელოვნად შემცირების პირობად მიიჩნევა, დედოფლისწყაროსა და სიღნაღის მუნიციპალიტეტების ძალებით ვერ მოხდება, ვინაიდან ღონისძიებების გატარებას სერიოზული თანხა სჭირდება.

პარლამენტის აგრარული კომიტეტის თავმჯდომარე გიგლა აგულაშვილი „ბიზნეს-რეზონანსთან“ საუბრისას აცხადებს, რომ კომიტეტი მუშაობს სპეციალური კანონპროექტის შემუშავებაზე, რომელიც ითვა-

ლისწინებს ქარსაცავი ზოლების აღდგენას. ამასთანავე, არსებობს პროექტი, რომლის ფარგლებშიც სამთაწყაროსთან და ფიროსმანთან 2 ათასი ჰექტარი ფართობის გასარწყავიანება მოხდება. აგულაშვილი აღნიშნავს, რომ გაუდაბნოება არის მსოფლიო გლობალური პრობლემა, თუმცა ქიზიყს ეს პრობლემა სერიოზულად არ შეეხება, ვინაიდან საერთაშორისო კვლევების მიხედვით, ეს ტერიტორია წითელ ზოლში არ არის მოხვედრილი.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში ხორბლის ყველაზე დიდი მოსავალი კახეთში მოდის. შესაბამისად, ამ რეგიონში ხორბლის ნათესების განადგურება უარყოფითად აისახება მთლიანად მოსავლიანობის მაჩვენებელზე.

(გაგრძელება გვ.3)

ილია მეორე მოუწოდებს




გვ. 2

ყველა ძირითადი პარლამენტი ევროკავშირის ბაზარზე თავისუფლად უნდა

გვ. 3-5

იცით, რა ზიანი მოაქვს გამოძევვად ჩაცმულ ქალს?




გვ. 7

გიყვარდეს ტკივილითა და სიამაყით სავსე ეს წიგნი!



გვ. 8

ილია II ხელისუფლებას მოუწოდებს უცხოელებზე მიწის გასხვისების გამო სათანადო რეგულაციები შეიმუშაოს



საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე ხელისუფლებას მოუწოდებს, უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე ქართული მიწების გასხვისებასთან დაკავშირებით სათანადო რეგულაციები შეიმუშაოს. პატრიარქის განცხადებით, უცხოური კაპიტალი აუცილებელია, მაგრამ ამან საქართველოს მინაწილის დაკარგვა და მოქალაქეების მომ-

სახურე პერსონალად გადაქცევა არ უნდა გამოიწვიოს.

„საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე საქართველოში მიწის გასხვისების პროცესი კვლავ დაიწყო. დღეს, როდესაც მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამო სოფლად მცხოვრები მოსახლეობის დიდი უმრავლესობა სიღატაკის ზღვარზეა და ბევრ შემთხვევაში იძულებულია თავისი ქონება ძალზე იაფად გაასხვისოს, ახალი რეალობა დიდი დარტყმის წინაშე დააყენებს სახელმწიფოს. თავისთავად უცხოური კაპიტალისა და თანამედროვე ტექნოლოგიების შემოსვლა-დამკვიდრება მისასალმებელია, რადგან შეუძლებელია ამის გარეშე ქვეყნის განვითარება, მაგრამ ეს პროცესი უმართავი არ უნდა გახდეს. მან არ უნდა განაპირობოს ყველაზე დიდი მატერიალური სიმდიდრის - ჩვენი მინაწილის დაკარგვა და ჩვენი მოქალაქეების მხოლოდ მომსახურე პერსონალად გადაქცევა. არ უნდა მოხდეს ისე, რომ ამ ქვეყნის მკვიდრთ, რომელთაც პირველ რიგში ეკუთვნით აქაური სიკეთე და დოვლათი, აღარ შექონდეს შიდა სამეწარმეო რესურსის გამოყენების საშუალება“, - ნათქვამია პატრიარქის განცხადებაში.

როგორც განცხადებამია აღნიშნული, ბოლო ერთი წლის განმავლობაში სახელმწიფომ სერიოზული ნაბიჯები გადადგა სოფლის მეურნეობაში არსებული სიტუაციის გამოსწორებისათვის, მაგრამ შექმნილი მდგომარეობა სხვა ქმედებების განხორციელებასაც ითხოვს, მათ შორის შეღავათიანი და გრძელვადიანი სესხების გაცემას.

„ამასთან, ვთხოვთ ხელისუფალთ - სასწრაფოდ მიიღონ ზომები და ვეროპის რიგი ქვეყნების მსგავსად, შეიმუშაონ სათანადო რეგულაციები, რათა განეიტრალებინათ ფრიად ნეგატიური მოსალოდნელი შედეგები, მითუმეტეს, რომ კონსტიტუციის 21-ე მუხლის დღევანდელი რედაქცია ამის შესაძლებლობას იძლევა“, - ნათქვამია განცხადებაში.

პატრიარქი ასევე თხოვნიტ მიმართავს ბანკებსა და მიკროსაფინანსო დაწესებულებებს, გარკვეული რეგულაციების დადგენამდე, შეაჩერონ სესხის დაფარვის მიზნით მიწების გასხვისების პროცესი, ან შეღავათიანი გადახდის პირობები დააწესონ.

„მივმართავთ ჩვენს ბიზნესმენებს - გაააქტიურონ საქმიანობა სოფლის მეურნეობის სფეროში და დაბანდონ თავიანთი კაპიტალი ახალ ტექნოლოგიებსა და გადაამუშაველ მრეწველობაში. ხელი შეუწყონ ეკოლოგიურად სუფთა, კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებას, რათა მათი ექსპორტი მოხდეს საზღვარგარეთ.

მივმართავთ მინათმოქმედთ - მეტი სიყვარული გამოიჩინონ შრომისადმი, დაამუშაონ ნაკვეთები, მოუარონ მას და ამასთან შეიღებონ შეუნახონ ეს ქონება. მინაზე მომუშავე ადამიანმა უნდა იცოდეს ისიც, რომ მის საქმიანობას დალოცვა ჭირდება“, - აღნიშნულია კათოლიკოს-პატრიარქის განცხადებაში.

ილია მეორემ სოფლად მოღვაწე სასულიერო პირებს კურთხევა მისცა, ყოველწლიურად, უფასოდ უკურთხონ ხალხს ნაკვეთები, თესლი და მოსავალი, ასევე სახლკარი, საქონელი და პირუტყვი, იმისთვის, რომ ხალხის შრომამ ნაყოფი გამოიღოს და დაცული იყოს სხვადასხვა საშიშროებისაგან.

„ეს უძველესი ტრადიცია უნდა აღდგეს და მოსახლეობამ გაითავისოს. საერთოდაც ყველანი უნდა გავერთიანდეთ და სამშობლოს შევხედოთ. განსაკუთრებით ვთხოვ ამას ჩვენს ახალგაზრდებს. მსგავსი პრობლემების წინაშე ჩვენი ქვეყანა XIX საუკუნის დასასრულსაც იდგა, სწორედ ამიტომ დააარსა მამინ წმ. ილია მართალმა საადგილმამულო ბანკი. დღეს დიდი ილიას ჭაპანი თითოეულმა ჩვენგანმა ძალისამებრ ჩვენისა უნდა გავნიოთ“, - ნათქვამია პატრიარქის განცხადებაში.

შეგახსენებთ, საკონსტიტუციო სასამართლომ უცხო ქვეყნის იურიდიული და ფიზიკური პირებისთვის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შექენაზე დაწესებული დროებითი აკრძალვა გააუქმა. სასამართლომ მიიჩნია, რომ ასეთი ტიპის აკრძალვა არაკონსტიტუციურია.

არჩევნების მეორე ტური 12 ივლისს ჩატარდება

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტური 12 ივლისს ჩატარდება. აღნიშნული გადაწყვეტილება ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ რამდენიმე საათიანი სხდომის შემდეგ მიიღო.



ტყიბულის, ლანჩხუთის, თერჯოლის, თელავისა და ხულოს გამგებლების არჩევნების მეორე ტური ტარდება.

მანამდე თამარ ფვანიამ დააყენა წინადადება არჩევნების მეორე ტურის 16 ივლისს გამართვის შესახებ, თუმცა კომისიის წევრებმა გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირეს. 12 ივლისს თვითმმართველი ქალაქები: თბილისის, ბათუმის, რუსთავის, ფოთის, გორის, მცხეთის, ოზურგეთისა და თელავის მერებისა და თვითმმართველი თემების: ახმეტის, ყვარლის, გორის, თიანეთის, მარტვილის, ქობულეთის, ბაღდათის, ხონის,

ლოო ოქმი, რომლის მიხედვითაც, კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ ხმების 50,48%, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ 22,48 პროცენტი, ხოლო „ნინო ბურჯანაძე ერთიანმა ოპოზიციამ“ 10,22% მიიღო.

შესაძლოა, უკუღაზა 12 წლით ჩასვან ციხეში - ყოფილი მერი განაჩენის მოლოდინში

თბილისის ყოფილ მერს გიგი უგულავას, „დანაშაულებრივი ჯგუფის სხვა წევრებთან“ ერთად, „ნაციონალური მოძრაობის“ დასაფინანსებლად ე.წ. „შავი ფულის“ მართლსაწინააღმდეგოდ შემოტანას ედავებიან.

გიგი უგულავას დაკავებისთან დაკავშირებით ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში განცხადება გაკეთდა, რომელსაც უცვლელად გათავაზობთ:

„ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა, განსაკუთრებით დიდი ოდენობის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტზე დააკავა გიორგი უგულავა. გამოძიებამ დაადგინა, რომ გიორგი უგულავა, როგორც დანაშაულებრივი ჯგუფის ხელმძღვანელი, დანაშაულში ჩართულ სხვა წევრებთან ერთად, მათ შორის ამავე საქმეზე დაკავებულ მის ქეისლ გიორგი ლონიაშვილთან და ლატარიის კომპანიის ყოფილ დირექტორთან, დავით კეზერაშვილის ბიზნეს პარტნიორ, ალექსანდრე გოგობისთან ერთად, ახორციელებდა ერთ-ერთი ოფშორული კომპანიიდან საქართველოში განსაკუთრებით დიდი ოდენობით ე.წ. „შავი ფულის“ მართლსაწინააღმდეგოდ შემოტანას, რაც შემდგომში უნდა მოხმარებოდა პოლიტიკური პარტიის, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსებას. კერძოდ, ოფშორულ ზონაში, ვირჯინიის კუნძულებზე დარეგისტრირებული, დავით კეზერაშვილთან დაკავშირებული კომპანიიდან, „ექსიმუს ჰოლდინგიდან“, რომლის დირექტორიც არის ბრალდებულის სახით ძებნილი ალექსანდრე გოგობია, ფიქტიური ხელშეკრულების საფუძველზე თანხა იორცებოდა ასევე ოფშორში დარეგისტრირებული კომპანიის, „ბრუქთრიდის“ ანგარიშზე, საიდანაც ფიქტიური ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა უკვე ხვდებოდა საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიაში, ხდებოდა აღნიშნული თანხის კონვერტაცია და გიორგი ლონიაშვილზე გადაცემა. პატიმრობაში მყოფი ლონიაშვილი, თავის მხრივ უკანონო შემოსავალს გადასცემდა გიორგი უგულავას „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების მიზნით. საერთო ჯამში, ოფშორული კომპანიიდან საქართველოში ფიქტიური ხელშეკრულების საფუძველზე ფულის გათეთრების გზით უნდა გადმოირიცხულიყო 1 500 000 აშშ დოლარი, ხოლო გატარებული ოპერატიულ სამძებრო ღონისძიებების შედეგად განხორციელდა მხოლოდ 760 000 აშშ დოლარის გადმოირიცხვა. აღნიშნული თანხა გიორგი უგულავამ გამოიყენა პარტიული მიზნებისთვის.

რაც შეეხება ამავე საქმეზე დაკავებულ გიორგი ლონიაშვილს, სასამართლომ მას უკვე შეუფარდა წინასწარი პატიმრობა, ხოლო ალექსანდრე გოგობიას მიმართ გამოცხადებულია ძებნა. გიორგი უგულავა დაკავებულია სისხლის



სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მე-2 და 3-ე ნაწილებით, რაც სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 9-12 წლამდე ვადით.

საქმეზე მიმდინარეობს შემდგომი ინტენსიური საგამოძიებო მოქმედებები ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის სხვა წევრების იდენტიფიცირების მიზნით“, - აცხადებენ საგამოძიებო უწყებები.

ირაკლი შიოლაშვილი ჭადრაკში მსოფლიო გრანპრის დახურვას დაესწრო



კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული - გუბერნატორი ირაკლი შიოლაშვილი და გუბერნატორის პირველი მოადგილე ზურაბ არსენიშვილი „ლოპოტა - რეზორტში“ ჭადრაკში ქალთა მსოფლიო გრანპრის მეხუთე ეტაპის ოფიციალურ დახურვის ცერემონიას დაესწრნენ. ქალთა გრანპრის მეხუთე ეტაპის გათამაშება ჩინელი ჰოუ იფანის გამარჯვებით დასრულდა. დაჯილდოვების ცერემონიაზე კახეთის გუბერნატორმა ირაკლი შიოლაშვილმა მსოფლიო ჩემპიონ ჰოუ იფანისთან სიმბოლურად ჭადრაკის ერთი პარტია ითამაშა.

ქალთა მსოფლიო გრანპრის გათამაშებაში რვა ქვეყნის თორმეტი უძლიერესი დიდოსტატი მანდილოსანი მონაწილეობდა. მათ შორის, ქალთა მსოფლიო საჭადრაკო კლასიფიკაციის საუკეთესო ათეულის შვიდი წარმომადგენელი, ასევე ქართველი მოჭადრაკეები ნანა ძაგნიძე და ბელა ხოტენაშვილი.

წყალი კვლავ გრაფიკით მიეწოდება

ბოლო დღეებში ჩვენი რაიონის მოსახლეობას სასმელი წყალი კვლავ გრაფიკით (დღეგამოშვებით) მიეწოდება. თუ რამ გამოიწვია წყლის შეფერხებით მოწოდება, ამასთან დაკავშირებით წყალკანალის უფროსი გია გოგილაშვილი განმარტავს, რომ წყლის დეფიციტი ზაფხულის გაუსაძლისმა გვალვებმა და იმ დიდმა დანახარჯმა გამოიწვია, რაც ამ სეზონს წყლის ჭარბი მოხმარების გამო ახლავს თან. რაც შეეხება ჭაბურღილების და წყლის ახალი დებეტის შექმნას, ამასთან დაკავშირებით გოგილაშვილი აცხადებს, რომ პროექტები შემუშავებულია და მზადაა, დღე-დღეზე ელოდებიან სპეციალისტების ჩამოსვლას და ჭაბურღილების გაჭრისთვის საჭირო სამუშაოების დაწყებას. რამდენადაც გაირკვა, სოფელ ხორნაბუჯს წყალი დილის 9 საათიდან საღამოს 6 საათამდე მიეწოდება, ასეთივე გრაფიკით სარგებლობს სოფელი სამრეკლო, ხოლო ქალაქის მოსახლეობა წყლის მიღებით დღეგამოშვებით ისარგებლებს.

ხალხი სასონარკვეთილია, მოსავლამ არ გააბართლა

(პირველი გვერდიდან)

თუმცა, სპეციალისტების პროგნოზით საქართველოში დაბალი მოსავლის მიღების შემთხვევაშიც კი ხორბლისა და ფქვილის დეფიციტი არ შეიქმნება, ვინაიდან ხორბლის იმპორტიორ ქვეყნებში - რუსეთი, უკრაინა, ყაზახეთი საკმაოდ კარგი მოსავალია. შესაბამისად, საერთაშორისო ბირჟებზე ხორბალი გაიფხვრება.

ბოლო მონაცემებით, ჩიკაგოს ბირჟაზე 1 ბუშელი (25 კგ) ხორბლის ღირებულება 5.78 დოლარია. ფოთის პორტში კი ტონა ხორბალი 280 დოლარი ღირს, რაც საკმაოდ დაბალი ფასია. რაც შეეხება ფქვილის ღირებულებას, 1 ტონა ფქვილის ფასი დიდი ხანია 40 ლარს ჩამოცდა და თითქმის ერთი წელია 35-36 ლარი ღირს. სპეციალისტების გათვლებით, ამ მდგომარეობაშიც კი პურის არათუ გაძვირება, არამედ გაიფხვება მოსალოდნელი.

* * *

დედოფლისწყაროში წელს იმდენად ცუდი მოსავალი მიიღეს, რომ ხალხმა ეს ტრაგედიას გაუთანაბრა. წუხან და ჩივიან ისეთი ადამიანებიც, ვისაც ერთი მარცვალის არ ჰქონია დათესილი. რადგან, მოუსავლიანობის ფონზე, ყველა დარგს და ყველას გაუჭირდება. აღნიშნულმა მდგომარეობამ ხალხი სასონარკვეთაში ჩააგდო, ისინი შემოდგომის პირზე ეკონომიკურ კატასტროფას, პურის ფასის გაძვირებას და გაჭირვებას პროგნოზირებენ. ფაქტობრივად ხორბალზე ყანის გაჭირის პროცესშივე კრიზისი შეიქმნა, ასეთი ცუდი წელიწადი შირაქის ველს არ ახსოვს. მიუხედავად იმისა, რომ წელს მინათმფლობელთა უმეტესობამ არნახულად მოაუარა ნათესებს და არაფერი არ დააკლო, ხალხმა ის თავნიც ვერ აიღო, რაც თესვად დათესა, დაევალი ბანკის კრედიტები და უამრავი ნასესხები თანხა. აღნიშნულმა გარემოებამ აქური მინათმფლობელები ძალიან ცუდ დღეში ჩააგდო. არადა, დედოფლისწყაროს ეკონომიკა ფეხზე მინათმოქმედებით და მარცვლეული კულტურით დგას. როგორი მოსავლიანობაც იქნება იმ წელს, ისეთივეა აქაურთა ცხოვრების პირობებიც. თუ ჩვენებური ფერმერები წელში გამართულები არიან ეკონომიურად, იმ წელს რაიონის ყველა ოჯახი იმედინადაა. სხვას რომ აქვს, გაჭირვებულებს ისიც ეიმედებ-

ბათ. სწორედ ამიტომ წლებიდან წელზე ჩვენში ასეთი ფრაზები გაჩნდა. - „რა დაალონე და დანელე აქაური გლეხის გული, შე დალოცვილო, ხალხი დაძმარებული დადის“, - უბუნებთან განგებას აქაურები.

შაშა პაპუაშვილი - „სამასი კილოგრამი ავიღე ერთი ჰექტრიდან, წლებიდანელი მოუ-

და.“
ელიზბარ იმერლიშვილი (ფერმერი) - „წელს ძალიან ცუდი წელია არამარტო შირაქში, არამედ მთელს დედოფლისწყაროში და სიღნაღში, საგარეჯოს და გურჯაანის რაიონებში. ეს გამოიწვია შემოდგომა-ზამთრის და განსაკუთრებით გაზაფხულის გვალვებმა. ამას დაემა-

აღნიშნულ საკითხზე კომანტარი ვთხოვეთ მუნიციპალიტეტის გამგებელს ნიკოლოზ ჯანიშვილს.

ბატონო ნიკოლოზ, მოგეხსენებათ, ჩვენი რაიონის მინდორქმედებმა მარცვლეულის ძალიან მცირე მოსავალი მიიღეს. წლების მანძილზე, ასეთ შემთხვევებში, რაიონში ზარალის შემ-

არ ჰქონდეს. ჩემი მიმართვა მოსახლეობისადმი ასეთია: - პრობლემა დანახულია, თავს არ ვზოგავ და ვცდილობ, გამოსავალი მოვძებნო. წინა კვირას ამ საკითხთან დაკავშირებით პირადად შევხვედი და ვესაუბრე სოფლის მეურნეობის მინისტრის ორ მოადგილეს, ისინი საქმის კურსში არიან და მიმდინარეობს კონსულტაციები სამთავრობო დონეზე, მიდის განხილვები, გამგებობაში შემოსულია სულ 30-40 განცხადება ზარალთან დაკავშირებით, თუ რა გადაწყდება, შედეგებზე წინასწარ ვერ ვისაუბრებთ. ზოგიერთი ფერმერი ითხოვს და აცხადებს, რომ მოუხსნათ მინაზე დარიცხული გადასახადი. მე მათ განვუმარტავ, რომ ეს სავსებით გამორიცხულია! ამას, უბრალოდ, ვერანაირად ვერ დაუშვებთ. თუ ჩვენ მათ გადასახადი მოვუხსენით, ეს ნიშნავს იმას, რომ რაიონის ბიუჯეტი წულზე დაჯდება, აქედან გამომდინარე, უხელფასოდ დარჩებიან მოსამსახურეები, შეჩერდება ინფრასტრუქტურული სამუშაოები, შეფერხდება ის დიდი სიკეთე, რასაც ბავშვების ბაღის კვება ჰქვია და უამრავი დანყებული საქმე ერთი წლით გაიყინება, რაც, დამეთანხმებით, ყოველად დაუშვებელი და გაუმართლებელია. მე ვიმედოვნებ, რომ მთავრობა შემოიტანს ჰუმანიტარულ დახმარებას სათესლე ხორბლის სახით ან რაიმე სახით გამოხატავს დახმარებას ფერმერთა მიმართ, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ამ საკითხზე სამთავრობო დონეზე მიმდინარეობს მუშაობა და უმჯობესია, დაველოდოთ შედეგებს.

დაეხმარება თუ არა სოფლის მეურნეობის სამინისტრო ამ სიტუაციიდან გამოსავლის პოვნაში ხალხს იმ პირობებში, როცა გვალვა სტიქიურ უბედურებად არაა აღიარებული, ძნელი სათქმელია, ჯერჯერობით სამინისტროს მიერ ამ საკითხზე არანაირი ინფორმაცია ან კომენტარი არ გაკეთებულა. მოსახლეობის თქმით კი, თუ სახელმწიფომ დოტაცია არ გამოყო და რომელიმე ქვეყნიდან არ შემოიტანა ჰუმანიტარული მარცვლეული, არ გამოირცხვენ, რომ არამარტო მოსახლეობის, არამედ ფერმერების მსხვილფეხა საქონლის შიმშილიც დაიწყოს. აქაურები იმედს იტოვებენ, რომ მთავრობა ხალხს არ გასწორავს და აღნიშნული კრიზისიდან დაიხსნის, თორემ ხომ გაგვიგონია: „თუ ამოწყდეს გლეხი კაცი, საქართველო დაძაბუნდესო!“

ინგა შილაშვილი
ლალი მისერიშვილი



სავლიანობის მიზეზი გვალვაა! არადა, წელს აბსოლუტურად ყველა წესების დაცვით და ყველა საჭირო სასუქით დაგამუშავებული მიწა! როგორც ჩანს, მართლაც, გლობალური გაუდაბნოების პროცესის მომსწრე ვართ! ალბათ საგაზაფხულო კულტურებსაც იგივე დაემართება, ჯერჯერობით ასეთი პირი უჩანს.“

ნონა ბოჭორიშვილი - „წლებია, ჩემი მეუღლე მიწების დამუშავებითა და დაკავებული, ნაკვეთების ნაწილს ვჭირაობთ და ისე ვამუშავებთ, თუმცა წელს არათუ მოგება, არამედ მიწის გადასახადიც საფიქრალი გაგვიხდა. ფაქტია, რომ ვიზარაღეთ და ამდენი ფული და შრომა წყალში გადავყარეთ, მიწის მეპატრონესთან ანგარიშიც ცალკე საზრუნავი გაგვიხდა, ძალიან ცუდი წელი იყო, ჩემმა ახლობლებმა სამასი კილოც ვერ აიღეს ჰექტრიდან.“

ბექა ბონაშვილი (ფერმერი) - „საშუალოდ 1.5 ტონაზე გავედით, მაგრამ მქონდა ნაკვეთი რომელშიც 6.8 ტონა გაასწორა, ზოგ ნაკვეთში 300 კილოც გაასწორა, მაგრამ საშუალოდ თუ ვიანგარიშებთ, ყველა ნაკვეთიდან ტონა ნახევარი გამოგვივი-

ტა თებერვლის ბოლოს და 21 მარტს საშინელი ქარიშხალი, გაზაფხულის დასასრულს კი, ნაკვეთებს ბუფრი გაუჩნდა. წლის მოსავალზე განსაკუთრებით იმოქმედა კლიმატურმა პირობებმა, შემოდგომა გვალვიანი იყო, ხორბალი ვერ აღმოცენდა და გაზაფხულზე ჯეჯილი სუსტი იყო, ქარებმა, ბუფრმა და გვალვამ უარესი ქნა, ხალხმა წელს ძალიან კარგად მოუარა, ძალიან ბევრი დახარჯა მოსავლის მოსაყვანად, მაგრამ უშედეგოდ. ორჯერ სასუქი შეიტანეს, სამჯერ გერბიციდი, ამდენი თანხა გლეხს მიწის დამუშავებისთვის არასოდეს მოუხმარებია, რამდენიც წელს, შედეგი კი საპირისპიროა, ასეთი ცუდი მოსავალი, მე პირადად, არ მახსოვს, ხალხი სასონარკვეთილია, თითქმის ყველას ბანკის ვალები აქვს. გვალვა, ეს იყო სტიქია და მოიტანა იმაზე დიდი ზარალი, ვიდრე სეტყვას, ქარიშხალს ან წყალდიდობას შეეძლო მოეტანა. ეს არის ტრაგედია ჩვენი რაიონისთვის. რაღაცით თუ არ დაეხმარნენ ხალხს, ამ მდგომარეობიდან ვერ გამოვლენ.“-ამბობს ფერმერი ელიზბარ იმერლიშვილი.

სწავლელი კომისია იქმნებოდა, ამჯერად თუ შეიქმნა ამგვარი კომისია და არსებობს თუ არა პერსპექტივა, რომ გაჭირვებაში ჩავარდნილ ფერმერებს სახელმწიფო დაეხმაროს?

- ზარალის შემსწავლელი კომისია, საერთოდ, მუნიციპალიტეტის საკრებულოში იქმნება ხოლმე. ამჯერადაც არსებობს ზარალის შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისია, ოღონდ ძველი შემადგენლობით, რადგან ახალ საკრებულოს ჯერ ფუნქციონირება არ დაუწყვია. რამდენად ეფექტური გახლდათ მისი მუშაობა, ჩემგან ძნელი სათქმელია. ზარალის შემსწავლელმა კომისიამ, წესით, პირველად მაშინ უნდა აღწეროს ნათესი, როცა სტიქია ხდება. ფაქტობრივად ჩვენთან სტიქია, ქარიშხლის სახით, 21 მარტს მოხდა. რამდენადაც ვიცი, კომისიას მაშინ არანაირი მუშაობა არ გაუწყვია. მაშინ არც არავინ ელოდა, რომ ასეთი ცუდი მოსავალი იქნებოდა. მეორადი აქტები მოსავლის აღების დროს უნდა შედგეს, თუმცა, იმის გამო, რომ პირველადი დათვლიერება არ ჩატარებულა, კომისიის მიერ ამჯერად განუღებულ სამუშაოს შესაძლოა, ეფექტი

ყველა ძირითადი პროდუქტი ევროკავშირის ბაზარზე თავისუფლად შევა

ესოდენ ნაწინანატრ ასოციერების ხელშეწყობებს ევროპასთან ხელი მოეწერა და პირველმა ეიოფორიამაც ჩაირა. შედეგად, პატარა და გარდამავალი ეკონომიკის მქონე, საქართველოს წინაშე მსოფლიოს ყველაზე დიდი 500 მილიონიანი ბაზრის კარი ფართოდ გაიღო. თუმცა, ჯერჯერობით, მხოლოდ აგრარული პროდუქციისთვის, რადგან სხვა საექსპორტო საქონელს ქვეყანა პრაქტიკულად ვერ აწარმოებს. მოლოდინი როგორც ოპტიმისტურ, ისე პესიმისტურ ნო-

ტებსაც შეიცავს. რამდენადაც დიდია ევროპის ბაზარი და მაღალი მსყიდველუნარიანობის ხიბლის შემცველი, იმდენად მძლავრი მწარმოებელი და კონკურენტიც არის იაფი ფინანსური რესურსით, თანამედროვე ცოდნითა და ტექნოლოგიებით აღჭურვილი. მართალია, სოფლის მეურნეობა მთლიანი შიდა პროდუქტის 2.3%-ს შეადგენს, მაგრამ მონეტარულ გამოსახულებაში ეს ციფრი 319 მილიარდ ევროს უდრის და ევროპის ბიუჯეტის 40-50% მის სუბსიდირე-

ბაზე იხარჯება. რა სავარაუდო სიკეთეს, თუ რისკს მოუტანს კონკრეტულად ქართულ სოფლის მეურნეობას საბაჟო ტარიფების წაშლა ასეთ მძლავრ სავაჭრო პარტნიორთან, ამ კითხვებზე სოფლის მეურნეობის მინისტრი მალევე ფიფია ამომწურავად პასუხობს.

- ბატონო შალვა, აი გაილო ევროპის ბაზრის კარი, და ხელშეკრულების მიხედვით, გათავისუფლებული გამოდის მხოლოდ 220 ტონა ნიორი. დანარჩენ პროდუქტებზე ან ქვოტა

მოქმედებს ან ადვალური ფასის კომპონენტი. ამას როგორ ახსნი?

- არ არის ასე. ახლავე ავიხსნით. პირიქით, ნიორი არის ერთადერთი პროდუქტია, რომელზეც გვაქვს ქვოტა 220 ტონა წელიწადში, თუმცა ამაში პრობლემას ვერ ვხედავთ. და მიზეზი არის ის, რომ ევროკავშირი თვითონ აწარმოებს ნიორს. დანარჩენი არცერთ

(გაგრძელება გვ.5)



ჩვენ პართი ოცდამეერთე საუკუნის ბავშვები

რამდენიმე დღის წინ გამოსაშვები კონცერტი შედგა დედოფლისწყაროს მესამე საბავშვო ბაღში. აქ შედგა ნანა სენიაშვილი აცილებდა თავის აღსაზრდელებს და თავისი ორიგინალური და განსხვავებული სცენარით ბავშვებს სკოლისაკენ ულოცავდა გზას.

„დროში მოგზაურობა“ ასე ერქვა ლონისძიებას, რომელიც უფროსგვფულეობა შემოგვთავაზეს. „დღეს მზე ამოვა, ინვიმებს, მითოვს და განვლილ დღეებს ნაღვსავეს ქარი, დღეს დიდი დღეა, ყველამ იცოდეს, გამოშვებაა მესამე ბაღის“ ამბობენ თავი და ნიკოლოზი და ზეიმს გახსნილად აცხადებენ. მოგზაურობა, რომელიც საკმაოდ საინტერესო აღმოჩნდა, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში პატარა აღსაზრდელების ჩასვლას და მათი ტრადიციების გადმოცემას ითვალისწინებს, თავდაპირველად აფრიკაში მოხედებიან ჩვენი მოგზაურები, ჯუნგლების ფორმაში გამოწყობილი ბიჭები წრეს არტყამენ და დაფდაფს სცემენ, სადაც ნანადირევს, ხეზე წამოგებულ ცხოველს გარშემო უფლიან. ჩვენი პატარა მოგზაურები ეგვიპტეშიც ჩადიან და მათ ფარაონს და დედოფალსაც ეცნობიან, შემდეგ კი საფრანგეთში აღმოჩნდებიან და ფრანგულ ვალს ცეკვავენ. ბოლოს ჩვენი მოგზაურები დაუბრუნდნენ სამშობლოს

და საქართველოს კუთხეებშიც იმოგზაურეს, რომელთაგან განსაკუთრებულად წარმოაჩინეს კახეთი, „ცივგომბორიდან სიმღერით, სიცოცხლის გადმოსახედი, მოსჩანს იისფერ ნისლეში, კახეთი ჩვენი კახეთი“ - ვაჟკაცურად მღერიან ნიკოლოზი და ლაშა და მათი ხმა ზეცას სწვდება.

შესრულდა ცეკვები: „ქართული“, „ცანგალა და გოგონა“, „ბაღდადური“ და გოგონების „სამაია“. ბიჭებმა გვიმღერეს „ღვინოვ კახური“. მთელს ლონისძიებას მუსიკალურად აფორმებდა მესამე ბაღის მუსიკის პედაგოგი ხათუნა ჯანაშვილი.

დასასრულს ბავშვებმა ფიალებზე ანთებული სანთლებით წარმოიტყვეს სადღეგრძელოები, რომელსაც ფონად გასდევდა პედაგოგების მიერ შესრულებული საგალობელი „მამაო ჩვენო“, ეს საჩუქარი გახლდათ ბაღის პედაგოგებისგან ბავშვებისადმი. ლამაზი გაცილებდა ნანა მასწავლებლის ცრემლებით და მშობლების მის მიმართ მადლობებით დასრულდა. ლონისძიების დასასრულს ბავშვებს სკოლისაკენ გზა დაულოცა ბაღის დირექტორმა მაია ფოცხვერაშვილმა და სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო ცენტრის დირექტორმა მაია ყოჩიაშვილმა.



ბაღიდან სკოლისაკენ

რამდენიმე დღის წინ კიდევ ერთი ლამაზი ლონისძიების მომსწრე გავხდით, მეორე საბავშვო ბაღ-ბაღში ოცდარვა აღსაზრდელი დაემშვიდობა ბაღს. ამიერიდან ისინი სკოლის ნიგებით ხელდაამშვე-

რული, ვასწავლე ის, რომ თვით პანანინა ჭიანჭველის სიცოცხლეც კი მნიშვნელოვანია და მათაც აქვთ სიცოცხლის უფლება, ვასწავლე ღვთის სიყვარული და ამ სამყაროში, რომელიც სავსეა თავისი დადებითი

და გოგონა“ და ბოლოს ევროპული „ვალსი“. განასახიერეს ზარმაცი გიგოს სცენარიც, რომელიც დედანიდან იციან, აგვისსენს, თუ ვინ იყო იაკობ გოგებაშვილი და რა არის ნიგნი „დედაეა“. ეს ყველაფერი პატარა ვირტუოზებს ისე შევნიშნა, ისე ხალისიანად და ლაღად ასრულებდნენ და თან სახეზე ღიმილი ისე ეფიქსებოდათ, თითქოს თავზე სიცილის ანგელოზი დასდგომოდათ... მაგრამ ეს ყველაფერი ხომ ბავშვობის წლებს ახლავს თან, ბავშვობას, რომლის ლამაზი, უდარდელი და მხიარული წლებიც აღარასოდეს განმეორდება. დაე, ეს მუხტი, ეს სილაღე და უდარდლობა დიდხანს, დიდხანს გაჰყვებთ ამ პატარა ვაჟკაცებს და ქალბატონებს. არასოდეს დაღონებულყვენ, არასოდეს დამდგარიყოს მათთვის მძიმე დღეები. პატარების ლონისძიების ლამაზად ჩატარებაში თავის არ ზოგავდა მუსიკის პედაგოგი აზა ლაპიაშვილი, მეთოდისტი ნათელა თამაზაშვილი და ძიძა ეთერი ბებო.

ბოლოს ბავშვებს დაემშვიდობა ბაღის დირექტორი ქეთევან ჩალახეშაშვილი, რომელმაც მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას, მშობლებს, პედაგოგებს და ბავშვებს ასეთი შრომის და ენთუზიაზმის გაცემისთვის და ის დღე დალოცა, როცა ეს პატარა აღსაზრდელები გაჩნდნენ ამ ქვეყანაზე. -და, მართლაც, გაუმარჯოს იმ დღეს, როცა თქვენ გაჩნდით ამ ქვეყანაზე, გამორჩეული ბავშვები იყავით ამ ჯგუფში, დღეს ჩვენი ბაღი ძალიან კარგ თაობას გაცილებთ და მე ვისურვებდი მშობლების საყურადღებოდ, რომ „შვილი, კიდევ მეტი შვილი უნდა საქართველოს!“-აღნიშნა ქეთევან ჩალახეშაშვილმა თავის სიტყვებში.



ბოლოს მაია მასწავლებელმა ქვრზე დაკიდული ყვავილები ჩამოსხნა, სადაც თითოეული ბავშვის ფოტოს და ვინაობის გარდა, მათ მიერ პედაგოგისთვის გამხედილი პროფესიები ეწერა, თათიას ყველასგან განსხვავებული და პრესტიჟული პროფესია აურჩევია, რომლის გამხელამაც ყველა გააოცა, მას პროკურორობა სდომებია, გურის ყველასგან გასაოცრად - ბიზნესმენობა, ირაკლის- მენაქერობა, ლუკას- ექიმობა, ქეთის -სტილისტობა, გიორგის პოლიციელობა. მოკლედ, პროფესიების გამხელამ მშობლებიც გაამხიარულია.

ლონისძიებას ესწრებოდნენ პირველი საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების პედაგოგები მარინა ინასარიძე და ნელი შოშიაშვილი, რომლებმაც, ჩავარაუდოდ, ეს ბავშვები უნდა გადამზარონ და აღზარდონ. სიტყვით გამოვიდა და მომავალი გზა დაულოცა ბავშვებს მარინა ინასარიძემ. აქვე იყვნენ გამგეობის კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსის მოადგილე ნანული ნატროშვილი და სპეციალისტები ნონა ნატროშვილი და ია ბუნტური, ასევე ლონისძიებას დაესწრნენ სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო ცენტრის დირექტორის მოადგილე ირმა ჯანაშვილი და სპეციალისტი ნინო კვინინაშვილი.

ნებულები სკოლისაკენ გაემშრებიან და ბაღის კედლები, პედაგოგები და იქაური სურნელი მათთვის სანატრულ პერიოდად გადაიქცევა.

და უარყოფითი მოვლენებით, საკუთარი თავის ამოცნობა. -ამბობს თავის სიტყვაში პედაგოგი მაია გაგნიაშვილი და თავის აღზრდილებს, რომლებსაც ყვავილებს და მზის სხივებს უწოდებს, თავის გულში სამუდამო ადგილის მიჩენას ჰპირდება.

უკვე დაფრთხიანდნენ ის პატარა გოგონები, თითქოს გუშინ, დედის კალთას ამოფარებულები რომ მივიდნენ ბაღში. აღარ არიან პატარები, ახლა უკვე ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ცეკვასა თუ ლექსის კარგად წარმოთქმაში.

ლამაზად მორთული სცენა კონტად გამოწყობილმა ექვსი წლის ბავშვებმა შეავსეს, უსაზღვროდ უხდებოდათ გოგონებს სიმბოლურად საქართველოს დროშის ფერმი-თეთრი კაბები და ნითელი ბაფეთები, ხოლო ბიჭუნებს თეთრი პერანგები და ნითელი ჰალსტუხები.

გამორჩეული, ესთეტიკურად მომხიბვლელი და შინაარსობრივად დახვეწილი ლონისძიებების ჩატარების ტრადიცია აქვს ამ ბაღს, რასაც არც ამჯერად უღალატეს. არ ვიცი რატომ, იქნებ მეჩვენება კიდევ, მაგრამ მგონია, რომ ყველაზე ლაღ, ყველაზე უფრო თავისუფალ და ძლიერ თაობებს მეორე საბავშვო ბაღი უშვებს. პედაგოგმა მაია გაგნიაშვილმა, რომლისთვისაც ეს გამოშვება პირველი თაობა გახლდათ, პირველივე დღეებიდან მთელი სული და გული ჩადო ბავშვების სწორ აღზრდასა და ფორმირებაში. შედეგად მიღწეულია, ბავშვებმა უამრავი რამ ისწავლეს, ისწავლეს ანბანი, მშობლების სიყვარული, პედაგოგების პატივისცემა, მეგობრობა და მოყვასის სიყვარული. როგორც თავად პედაგოგმა სიტყვაში აღნიშნა, -„მე მათ ვასწავლე მოყვასის სიყვა-

„ნანასავით სააშური აი ია, ბუღბუღების გალობა და ნახი სტეგნა, გულში როგორც გაზაფხული ჩამიკვრია, მშობლიურზე მშობლიური დედაეა“

- მღეროდნენ ანა ჩიტოშვილი, ქეთი მეხრიშვილი, ანანო, გვანცა და თათია ბოჭორიშვილები, გურამ გოგაშვილი, ლუკა კვანჭილაშვილი, ირაკლი საბიაშვილი, ზუკა ძნელაშვილი, ლუკა მენთემშვილი და სხვები.

შესრულდა ცეკვა „ქართული“, გოგონებმა ძალიან ლამაზად და დახვეწილად შეასრულეს ცეკვა „ნარნარი“, ბიჭებმა იცეკვეს „სვანური“, წარმოადგინეს „ცანგალა



ლალი მხრინიშვილი

ყველა ძირითადი პროდუქტი ევროკავშირის ბაზარზე თავისუფლად უყვა

(მესამე გვერდიდან)

პროდუქტზე ქვოტა არ გვაქვს, არამედ გვაქვს ე.წ. ტრიგერული რაოდენობა, რაც ნიშნავს რომ თუ მივუახლოვდებით ამ ტრიგერული (წინასწარ ფიქსირებული) მოცულობის ზღვარს ჩვენ უნდა ვაცნობოთ ევროკავშირს, რომ წელს ამ რაოდენობას გადავაჭარბებთ და თავისუფალია გადასახადისაგან. რაც შეეხება ადვალურ გადასახდს, ეს ნიშნავს, რომ თუ კონკრეტული პროდუქტის (რაზეც ვრცელდება ადვალური გადასახადი) საბოლოო სარეალიზაციო საცალო ფასი ევროკავშირში არის რაღაც ფასზე (ე.წ. ადვალურ ფასზე) ნაკლები, მაშინ მენარმემ უნდა გადაიხადოს სხვაობა ადვალურ ფასსა და თავის სარეალიზაციო ფასს შორის. მაგრამ იმდენად დაბალი ფასები იმ ყველა პოზიციაზე, რაც არსებობს (ხელშეკრულებაში), რომ პრაქტიკულად შეუძლებელია, ეს ფასი დაჯდეს. ვთქვათ, ციტრუსის შემთხვევაში 45-50 ცენტია ადგილზე საცალო ფასი და შეუძლებელია, რომ ასეთი დაბალი დაუჯდეს ქართულ მენარმეს. ყველა შემთხვევაში ამაზე მეტი იქნება და შესაბამისად, ადვალური ფასის მომენტი არის, მაგრამ იმდენად დაბალია ის ფასები, რაც განსაზღვრულია ევროკავშირთან, რომ რისკი მნარმოებლებს არ ემუქრებათ.

- რას გავიტანთ?

- ყველა ის პროდუქტი, რაც დღეს უკვე გადის ევროკავშირის ბაზარზე, როგორცაა ღვინო, სპირტიანი სასმელები, მინერალური წყლები, თხილი, გამხმარი და გაყინული ხილი, თხილ-კაკალი, ნაბლიც ისევე გავა ტარიფის გარეშე. რასაც აქვს პოტენციური უახლოეს მომავალში ეს არის ხილი, ციტრუსი, და საშუალოვადიან პერსპექტივაში ეს არის თაფლი და ვეტერინალურ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქცია.

- საშუალოვადიანი პერსპექტივა რა პერიოდს გულისხმობს?

- დღეს ჩვენ ხორცის და რძის იმპორტიორები ვართ. ამას გარდა, იქ არის მთელი რიგი რეგულაციები. ჩვენ სულ ახლახან მივიღეთ ცვლილებები სურსათის ეროვნულ კოდექსში, ეს არის ქოლგა დოკუმენტი და უკვე დავამტკიცეთ ეროვნული პროგრამა ამ ქოლგა დოკუმენტის ფარგლებში, შემდეგ 7 წლიან პერიოდში უნდა მოვახდინოთ შესაბამისი კანონმდებლობის ფორმირება, ეს არის 90-მდე კანონქვემდებარე აქტი, რომელიც უნდა შეიცვალოს ახლით. ეს ეხება როგორც სურსათის უვნებლობის, ისე ვეტერინარიის და ფიტო-სანიტარიის კუთხით, ამას უნდა მოყვება შესაბამისი ადმინისტრირება. სურსათის ეროვნული სააგენტო უკვე გავაძლიერეთ, 180 ადამიანი დავამატეთ, გავაოთხმაგეთ ინსპექტორების რაოდენობა. მიზანი არის ის, რომ ის სტანდარტი, რასაც ევროკავშირი მოითხოვს იმ პროდუქციაზეც დავაკმაყოფილოთ, რასაც ჯერ ვერ ვაკმაყოფილებთ. ამას გარდა, გვაძლიერეთ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია, სადაც ვეტერინარიის კუთხით 18 დაავადებაზე მივიღეთ საერთაშორისო აკრედიტაცია თებერვლის ბოლოს, ახლა ევროპელების ხელშეწყობით ვამუშავებთ ფიტოსანიტარიულ ლაბორატორიას და იმედი მაქვს, წლის ბოლომდე მოვრჩებით. როგორც კი დავასრულებთ, მაშინვე შევეცდებით, რომ საერთაშორისო აკრედიტაცია მივიღოთ ამ მიმართულებითაც. ამას გარდა, გვაქვს გეგმა ჩვენს ლაბორატორიაში წლის ბოლომდე მოხდეს თაფლის დიაგნოსტიკა და საერთაშორისო სერთიფიცირება. აქამდე საქართველოში თაფლზე საერთაშორისო სერთიფიკატის გამცემი ორგანო არ არსებობდა. შესაბამისად ცხოველური ნაშრომების ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებულ პროდუქციაზე პირველ ეტაპზე შევძლებთ თაფლის დამზადებას, შემდეგ იქნება თევზი და სხვა ცხოველური ნარმოებების პროდუქცია. ქართულ თაფლზე დიდი მოთხოვნაა.

- მცირე მოცულობები ყოველთვის იყო ჩვენი ექსპორტის

პრობლემა. ამას როგორ გადაჭრით?

- ვერ ვიტყვი, რომ მოცულობა იყო პრობლემა. გასულ წელს ჩვენ გავიტანეთ დაახლოებით 50 მილიონ ბოთლ ღვინოზე მეტი, გვაქვს პოტენციური 100 მილიონის ფარგლებში გავზარდოთ. იმ ტენდენციას თუ გავითვალისწინებთ, რაც მოყვა ბოლო 2 წლის განმავლობაში ვენახების და თხილის გაშენებას, მაქვს მოლოდინი, რომ ჩვენი ნარმოების უნარი გაიზარდება. საქართველო უკვე გადაიქცა ძალიან მნიშვნელოვან მოთამაშედ თხილის ბაზარზე. შარშან ვიყავით მესამე ყველაზე დიდი ექსპორტიორი და მეხუთე ყველაზე დიდი მნარმოებელი მსოფლიოში. თუმცა, რაც შეეხება ნარმოების ეფექტურობას, ეს გასაკეთებელია და ამაზე ვმუშაობთ. ჩვენ რამდენიმე პრობლემა გვაქვს. ერთი ის, რომ სამეცნიერო-კვლევითი მიმართულება ქვეყანაში არ არსებობდა, არანაირი ჯიშთა გამოცდა არ ხდებოდა, ახალი ჯიშები არ შემოდიოდა, ჩვენ გავაკეთეთ სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, რომლის როლიც სწორედ ეს იქნება – თანამედროვე ტექნოლოგიების ტრანსფერი და ახალი ჯიშების გამოცდა და შემდგომ გავრცელება. არის მიწების მაღალი ფრაგმენტაციის პრობლემა და ამის მოსახერხებლად შარშან კანონი მივიღეთ სასოფლო”. სამეცნიერო კოოპერაციების შესახებ, 94 დარეგისტრირდა დღეის მდგომარეობით.

- არსებობს მოლოდინი, რომ ევროპული იმპორტი ნალექავს ჩვენ სუსტ ბაზარს. რას აპირებთ კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად?

- შარშან ჩვენი ექსპორტი აგრო მიმართულებაზე ევროპაში იყო 23% და იმპორტი დაახლოებით 12%. ნამდვილად არა მაქვს მოლოდინი, რომ ეს იმპორტის რაოდენობა შეიცვლება, რადგან ევროპის სოფლის მეურნეობის პროდუქცია მოუხედავად სუბსიდირებისა, ძალიან მაღალფასიანია და არა მგონია ეს ტენდენცია შეიცვალოს. თვითღირე-

ბულება არის საკმაოდ მაღალი მთელი რიგი მიზეზების გამო, პირველ რიგში, მაღალი ხელფასები და მაღალი დანახარჯები აქვთ ნარმოებაზე. ასე რომ, იმის მოლოდინი თითქოს ევროპაში ნარმოებული პროდუქცია დაგვახრჩობს, არ უნდა გვექონდეს.

ჩვენ უკვე ვმუშაობთ აგრო-დაზღვევის პროექტზე KFW-თან, ისინი თავისი დაფინანსებით აკეთებენ კვლევას და ამის საფუძველზე ჩვენ უკვე აგარულ დაზღვევას შევთავაზებთ მოსახლეობას. იაფი საკრედიტო პროექტები კვლავაც გაგრძელდება, ასევე გამსხვილებას ხელს შეუწყობს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია, და ამისთვის სპეციალური - როგორც საგანმანათლებლო, ისე ფინანსური ხელშეწყობის პროგრამები იქნება, რაც კოოპერატივებისთვის უმთავრესია. სასოფლო” სამეურნეო ექსპერტთა შემოვიდა ქვეყანაში, რაც არ არსებობდა 20 წლის მანძილზე საბჭოთა კავშირის შემდეგ. ეს ნიშნავს კონსულტაციებს ყველა ფერმერისათვის თუ გადაამუშავებელისთვის. ასევე არის პროექტი პროფესიულ ნავლე-ბასთან დაკავშირებით. რეალურად, ჩვენ გვაქვს სპეციალისტების პრობლემა ყველა დონეზე და ის კოლეჯები, რომლებიც დღემდე შენარჩუნებულია, ასეთია დაახლოებით 18 კოლეჯი, მათ ბაზაზე უნდა მოხდეს სწავლება. ახალი წლიდან ტექნიკური უნივერსიტეტი, აიოვას უნივერსიტეტთან ერთად, იწყებს სოფლის მეურნეობის მიმართულების კურსებს, რაც მოგვცემს ალტერნატიულ რეზერვს. დღეს მხოლოდ აგარული უნივერსიტეტი სთავაზობს ასეთი ტიპის სწავლებას, და კონკურენცია თავისთავად გაზრდის სწავლის ხარისხს.

- აქ იაფ ფინანსურ რესურსზე ხელმისაწვდომობა მაინც პრობლემად რჩება, რადგან ფერმრების დიდი ნაწილი იაფი კრედიტის პროგრამის მიღმა რჩება. ესენი როგორ იქნებიან კონკურენტუნარიანნი?

- აქ ლაპარაკია კრედიტუნა-

რიანობაზე, იმ ფერმერს, რომელსაც აქვს 1 ჰექტარი და რომელიც ვერ იღებს იაფ სესხს, აქვს ალტერნატივა, გააკეთოს კოოპერატივი, გახდეს უფრო მიმზიდველი ბანკისთვისაც, დამფინანსებლისთვისაც და აიღოს ეს შეღავათიანი სესხი. 100-ზე მეტი კოოპერატივია დარეგისტრირებული 2 თვეში და კიდევ ბევრი დგას რიგში სტატუსის მისაღებად. მოლოდინი და სურვილი არის ძალიან დიდი, ვინც ამას ვერ გააცნობიერებს, გრძელვადიან პერიოდში აღარ იქნება კონკურენტუნარიანი და მას მოუწევს შეხედულების შეცვლა.

- სასოფლო-სამეურნეო მინების უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის მიყიდვაზე არსებული ერთწლიანი მორატორიუმი საკონსტიტუციო სასამართლომ რამდენიმე დღის წინ ვადაზე ადრე გააუქმა. ანუ დაუცველი რჩება მინა და ძველებურად ნებისმიერი ინვესტორი იყიდის, თუ ევროპულ მკაცრ რეგულაციებს შემოიღებთ ხელშეკრულების ფარგლებში?

- ერთი-ერთზე შემოღება არ შეიძლება, ევროკავშირის წევრ ქვეყნებშიც განსხვავებული მიდგომა არსებობს. მე ვთვლი, რომ მორატორიუმი იყო საჭირო, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მინა არ არის ჩვეულებრივი აქტივი, ის არის ამონურვადი, განსაკუთრებული აქტივი და საჭიროა მისი განკარგვა სწორად. მე არ მაქვს პრობლემა კონკრეტულ უცხოელ ინვესტორთან, მაგრამ თითოეულ შემთხვევაში უნდა უზრუნველყოფილი იქნას მინის ეფექტურად განკარგვა. ჩვენ გვაქვს არაეფექტური განკარგვის ძალიან ბევრი ცუდი მაგალითი. არსებობს კომისია, სადაც შედიან როგორც აღმასრულებელი, ისე საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლები და ჩვენ უახლოეს პერიოდში ვეცდებით, რომ საკანონმდებლო რეგულაციებით დავარეგულიროთ ეს საკითხი, რომ ასეთი ძვირფასი და ამონურვადი რესურსი განკარგულ იქნას მაქსიმალურად ეფექტურად, სწორედ ეს იყო მორატორიუმის მიზანი.

რთველი 2014

გაღვა ფიფია: ყურძნის მოსავალთან დაკავშირებით, წელს საკმაოდ კარგი მოლოდინი გვაქვს

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი შალვა ფიფია და ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე ლევან დავითაშვილი რთველის ორგანიზებულად და წარმატებულად ჩატარების მიზნით, საგამოფენო ცენტრ “ექსპო-ჯორჯიაში” ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების მწარმოებელი კომპანიების ხელმძღვანელებს შეხვდნენ.

შალვა ფიფიას თქმით, შეხვედრის მიზანი იყო რთველის სწორად დაგეგმვა, რათა ის წარმატებულად ჩატარდეს. “ყურძნის მოსავალთან დაკავშირებით, წელს მოლოდინი საკმაოდ კარგი გვაქვს. წინასწარი მონაცემებით, შარშანდელთან შედარებით დაახლოებით 20%-ით მეტ მოსავალს ველოდებით. სასიამოვნოა, რომ მნიშვნელოვნად გაზრდილია ღვინის

ექსპორტიც. წელს, მოთხოვნა გაიზარდა თეთრ ყურძენზე. რაც შეეხება წითელ ყურძენზე მოთხოვნას, სავარაუდოდ, ის 2-ჯერ მეტია, ვიდრე მოსავალი. შესაბამისად, ვიმედოვნებთ, რომ არსებული სიტუაცია მოგვცემს საშუალებას, რთველი კარგად ჩატარდეს”, - განაცხადა მინისტრმა.

მისივე თქმით, 2013 წლის რთველის მსგავსად, მიმდინარე

წელსაც გამოყოფილი იქნება საკრედიტო რესურსი და ღვინის მწარმოებელ კომპანიებს საშუალება ექნებათ ისარგებლონ შეღავათიანი სესხებით. წინასწარი ინფორმაციით, სუბსიდირების სისტემაზე შენარჩუნებული იქნება.

როგორც ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ ლევან დავითაშვილმა განაცხადა, რთველის საკოორდინაციო შტა-

ბი კვლავ გურჯაანის რაიონში განთავსდება.

„რთველის შტაბი 20 აგვისტოდან ოფიციალურად გაიხსნება და ნებისმიერ საკითხზე უფრო ინტენსიური კომუნიკაცია გვექნება. ყველა სანარმოში იქნება ჩვენი ოპერატორი და ჩაბარებული ყურძნის აღრიცხვა კომპიუტერული პროგრამით განხორციელდება”, - აღნიშნა ლევან დავითაშვილმა.

პანკისის ხეობაში 20 მეგავატი სიმძლავრის კასკადი აშენდება

პანკისის ხეობაში, მდინარე ალაზნის შენაკადზე სამყურის წყლის მესამე კასკადი აშენდება. კასკადის მშენებლობის ნებართვა კომპანია „ფერმა“ მიიღო. კომპანიის ინფორმაციით, კასკადის სიმძლავრე 20 მეგავატი იქნება, მისი წლიური გა-

მომუშავება კი - 117 მილიონი მეგავატი. კომპანიის ცნობით, აღნიშნული პროექტის ღირებულება 30 მილიონი დოლარია. მშენებლობა 3 წელიწადში დასრულდება. მშენებლობასთან დაკავშირებით მემორანდუმი

ენერგეტიკის სამინისტროსთან 2 კვირაში გაფორმდება. კომპანია „ფერმა“ ამ ეტაპზე 6 მეგავატი სიმძლავრის „ყაზბეგი ჰესის“ პროექტს ახორციელებს, რომელიც ექსპლუატაციაში ივლისის ბოლოს შევა.



ნავთობმარაბები და მათი მოპოვება საქართველოში

გასული კვირის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეკონომიკური სიახლე საგარეჯოს რაიონის სოფელ იორმულანლოში, მწარე ხევის საბადოზე, გაზის მოპოვებისა და დისტრიბუციის დაწყება გახლდათ. პროექტს ამერიკული კომპანია „ფრონტიერა“ ახორციელებს. მწარე ხევის საბადოზე აღნიშნული პროექტის განხორციელება 2011 წლიდან დაიწყო, თუმცა უშუალოდ გაზის ამოტუმბვა და მიღებაში ჩაშვება 2014 წლის 20 ივნისიდან განხორციელდა. ამ ფაქტს საკმაოდ ოპტიმისტური განცხადებები და კომენტარები მოჰყვა როგორც თავად კომპანიის წარმომადგენლების, ისე ეკონომიკური ექსპერტებისა და მედიის მხრიდან, რითაც კიდევ ერთხელ დაედო საფუძველი საქართველოს

ნავთობისა და გაზის მოპოვებელ ქვეყნად გადაქცევის პერსპექტივაზე საუბრებს, რაც საქართველოში პერმანენტულ ხასიათს ატარებს. გასულ კვირას ითქვა, რომ კომპანია „ფრონტიერა“, რომელიც საქართველოში 1997 წლიდან მოშაობს და, სხვათა შორის, 400 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია აქვს განხორციელებული, 42 მილიარდი კუბური მეტრის გაზის საბადო აღმოაჩინა. საქართველოს ნავთობისა და გაზის ეროვნული სააგენტოს უფროსმა შემდეგ დააზუსტა, რომ ეს არა დადასტურებული, არამედ საპროგნოზო მარაგია. თუ ეს მონაცემი სიმართლეს შეესაბამება, ეს, მართლაც, საკმაოდ მნიშვნელოვანი განაცხადია საქართველოსთვის, თუმცა, ზოგადად, სხვადასხვა ექს-

პერტული მონაცემებით, საქართველოში ნავთობის რეზერვის რაოდენობა, დაახლოებით, 680 მილიონი ტონაა, ხოლო ბუნებრივი აირისა - 150 მილიარდი კუბ. მეტრსაც კი აღწევს. მთავარი მისი რეალური მოპოვებაა. ნავთობისა და გაზის მოპოვების მასშტაბები საქართველოში, განსაკუთრებით დღეს, საკმაოდ მოკრძალებულია: საქართველოს გაზისა და ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის ინფორმაციის თანახმად, საქართველოს ტერიტორია დაყოფილია სალიცენზიო ფართობებად (ე.წ. ბლოკები), სადაც ნავთობისა და გაზის ძებნა-ძიებისა და მოპოვების სამუშაოებს კერძო კომპანიები ახორციელებენ. მათ სახელმწიფოსთან გაფორმებული აქვთ პროდუქციის ნილობრივი განაწი-

ლების ხელშეკრულებები. საქართველოში ნავთობის მოპოვებით საქმიანობას ამჟამად ხუთი ინვესტორი კომპანია ახორციელებს, დანარჩენი 7 კომპანია კი ძებნა-ძიების სამუშაოებს ეწევა. საქართველოში ნიალისეულის მოპოვების დაწყებიდან მოპოვებულია, საშუალოდ, 27.7 მლნ ტონა ნავთობი. ბოლო ათი წლის განმავლობაში საშუალო წლიური მოპოვება 70,6 ათასი ტონაა. რაც შეეხება გაზს, საქართველოში მისი მოპოვება 70-იანი წლების მეორე ნახევრიდან დაიწყო. ეს იყო სამგორ-პატარძელის საბადოდან მოპოვებული ნავთობის თანმყოფი გაზი. ნავთობის პიკური მოპოვების პერიოდში (1980-1983 წწ) ასეთი გაზის წლიური მოპოვება 300 მლნ. კუბ. მ-ს აღწევდა. თავისუფალი გაზის მოპოვება

1983 წელს დაიწყო, როდესაც რუსთავის გაზის საბადო აღმოაჩინეს. მოგვიანებით თავისუფალი და მომყოლი გაზის მოპოვება გაგრძელდა ასევე ნინოწმინდის უბანზე, სადაც მუშაობა ამჟამაც მიმდინარეობს. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში გაზის წლიური მოპოვება, საშუალოდ, 16.5 მლნ. კუბ. მ-ია. სულ საქართველოში მოპოვებულია 2.8 მლრდ. კუბ. მ. გაზი, საიდანაც თავისუფალი გაზის რაოდენობა 552.8 მლნ. კუბ. მ-ს შეადგენს. საქართველოში დღეისათვის გაზის მოპოვებითი სამუშაოები მცირე რაოდენობით ხორციელდება. შეცვლის თუ არა მნიშვნელოვნად ამ სურათს მწარე ხევის საბადოზე გაზის მოპოვების დაწყება, ამას უახლოესი წლების სტატისტიკაც გვიჩვენებს.

„ლექსო, შენა ხარ ჩემი მაცარი!“



ამ დღეებში მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ჩვენი თანამემამულის, პოეტ თამაზ ნიკლაურის შემოქმედებისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა. „გულო, ერთგულო, წვით უნდა წერო, არდაჩოქება შენი ხვედრია“, ეს სტრიქონები პოეტს ეკუთვნის და მის ცხოვრებისეულ კრედიტს გამოხატავს. მან მთელი მისი შეგნებული ცხოვრება პოეზიას მიუძღვნა. მისი ლექსების დიდი ნაწილი სასიყვარულო ლირიკითაა გაჟღერებული, ნაწილი კი სამომბლოს სიყვარულს ეთმობა. მისი თითოეული სტრიქონი ხალხური პოეზიის ფესვებიდან საზრდოობს, თუმცა, პირველი ლექსი ძალიან პატარა ასაკიდან გაჩნდა და პირველ სიყვარულს მიეძღვნა. დანაებით მინდა აღვნიშნო, რომ მის პოეზიას დღემდე არ ვიცნობდი და დარბაზში შესულს, პირველი სტრიქონების მოსმენისთანავე, ჯერ გაოცების, შემდეგ სიამაყის გრძობა დამეუფლა. არიან ადამია-

ნები, რომელთა არსებობას ყოველდღიურ ცხოვრებაში, პირისპირ შეხვედრის გარდა, ვერაფრით აღიქვამ, ისინი თავიანთი წყნარად ცხოვრობენ და წინ არავის ელობებიან, მაგრამ ერთ დღეს მიხვდები, რომ ისინი შენზე ბევრად მეტ და დიდ, საშვილიშვილო საქმეს აკეთებენ, იმ საქმეს, რომელსაც ჩვენი მომავალი თაობები უფრო სათანადოდ შეაფასებენ და დააფასებენ. მანამდე კი უფრო ახლოს გავვეცნოთ პოეტ თამაზ ნიკლაურის ბიოგრაფიას... პოეტი წარმოშობით არხოტიდანაა, მაგრამ 3 წლიდან ე.წ. „გეგმიური გადმოსახლების“ პროგრამით სოფელ სამრეკლოში ცხოვრობს და მისი ბავშვობის მეხსიერებაც აქედან იწყება. ბავშვობის ავადმყოფობებს ჯარის მძიმე და მკაცრი პირობებიც დაერთო, მაგრამ ცხოვრებამ სულით მაინც ვერ მოდრიკა, ამაში კი მას ყოველთვის პოეზია ედგა გვერდში და მისი თითოეული

ლექსიც ტკივილიდან იღებს სათავეს. მისი ლექსები „სალბუნის“ სამივე კრებულშია თავმოყრილი, თუმცა, ახლო მომავალში მის გეგმებში საკუთარი კრებულის გამოცემაც შედის. შეხვედრაზე პოეტმა ჩვენს თვალწინ ორ სტროფში გამოსცა ერეკლე მეფის ის მძიმე ტკივილი, რომელიც მან კრწანისის ომის წაგების შემდეგ განიცადა, ნაგვიკითხა „ყიფჩაღის მონოლოგი“ -ს მისეული ვერსია, „ლექსო, შენა ხარ ჩემი მაცარი“ და სხვა. „შენი ჭირი, სიკვდილო, სიცოცხლე ფასობს შენითა“- ამბობს ვაჟა ფშაველა და ამ სიტყვებს ბატონი თამაზი ასე ეხმიანება: „უკრთმანეთოდ რად ვლიწართ, ფასი ერთურთის გამო გვაქვს, ერთად სვლით ჯერ არ დაუღლილვართ ჩვენ ჩვენი წილი გზა მოგვაქვს.“

ტორმა, მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორმა ლალი გურასპაულმა თანაკლასელ პოეტს საღამო მისი ლექსების მხატვრული კითხვით გაულამაზა, ყველაფერს ერთად კი თან ერთვოდა დები ლოლაშვილების მიერ შესრულებული სიმღერები, რომელიც კიდევ უფრო მძაფრ ემოციას ინვევდა დამსწრე აუდიტორიაზე. „პოეტის სვე-ბუდი არავინ ინატროს, არც შეგება მოაქვს, არც რამე დიდება, პოეტი ცოცხალიც ზეცაში ბინადრობს, ზეცისა მიწაზე ვერ დაემკვიდრება, პოეტის სიცოცხლე მუდმივი ურჯაა, დროს უცდის, წვედიადში რიყრაყად იალოს, პოეტი ეშმაკის წვევლა და კრულვაა, სულს ალხენს, შფოთავს და მოქარიშხლიანობს. პოეტის ცხოვრება ფოლადის

ბრძმედაა, არც ეინვას უფრთხის და არც სიცხეს თაკარას, წამებით იწრთობა, თუ შემოქმედაა, ჯებირებს გაანგრევს, ჩაჭკვევს და ჩაჭკვევას, ის თქვენთვის მიწაშიც ჩაწვევა, არც ქრთამი სჭირდება, არც თავაბუტიყაა, პოეტი იღბალზე არანდროს არ წერება, რამეთუ ბრძენი და უფროვე გიყია! თუ პოეტი „გიყი“ და „ბრძენია“, პოეზია ადამიანის სულის საზრდოა, ხიდი ახალ და ძველ თაობებს შორის, კოდი, რომელიც უკვდავ ღირებულებებს აერთიანებს და საზღვრები არ გააჩნია. გვეჯერა, თამაზ ნიკლაურის პოეზიაც სულის საზრდოს მისცემს ჩვენს მომავალ თაობებს და განსაკუთრებულ წვლილს შეიტანს ქართული პოეზიის საგანძურში. ელზა ხარაშვილი



